ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების

გაერთიანებული სხდომის

ოქმი № 36

26 დეკემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალქაო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, საფინანსო-საქლაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები: ანა ლაშხი, გულია გოცირიძე, თარაშ შურღაია, გიორგი ბირბიჩაძე.

5 კომისიის გაერთიანებულ სხდომას ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 10 დეკემბრის №12-0319344108-03 წერილი).

კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი შენიშვნებით და რეკომედაციებით გათვალისწინებული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საქალქაო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა. როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 1 021 400.6 ათასი ლარით, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 927 631.5 ათას ლარს, გაზრდილია 93 769.1 ათასი ლარით. გაიოზ თალაკვაძემ ასევე პროგრამებისა და ქვეპროგრამების მნიშვნელობასა და მიზნებზე ისაუბრა და საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.
5 კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, მარიკა დარჩიას მოუსმინეს. მისი ინფორმაციით, მ/წლის 18 იანვარს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ # 03-031901891 წერილით მიმართა თბილისის მერს რეკომენდაციით, საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში, კვარცხლბეკზე, რომელზეც ოდესღაც აღმართული იყო რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II ის ბიუსტი განთავსებულიყო დიმიტრი ყიფიანის ქანდაკება. ხსენებული საკითხი განიხილა მერიაში არსებულმა შესაბამისმა კომისიამ და დადებითი რეკომენდაცია გასცა კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 29 იანვარს კომისიამ თბილისის მერს მიმართა თხოვნით (#03- 031902986 წერილი) პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპიროსთან მოწყობილიყო სანაპიროს აღმნიშვნელი მემორიალური ობელისკი. 2020 წლის თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში ძეგლების მშენებლობის

ღონისძიებების განსახორციელებლად (პროგრამული კოდი 02.07) გათვალისწინებული იყო 500 000 ლარი. წარმოდგენილი პროექტის შესაბამის პროგრამულ კოდში არსებული ჩანაწერები არ იძლევა იდენტიფიცირების საშუალებას ხსენებულ 500 000 ლარში გათვალისწინებულია თუ არა პრეზიდენტ გამსახურდიას მემორიალური ობელისკის და დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის ესკიზის შესარჩევი კონკურსის ჩატარება და ობიექტების მოწყობა.

თბილისის მერიის მიერ, 2019 წლის 15 ნოემბრის №12-0319319121-03 წერილით წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით სახელდებისა და სიმბილიკის კომისიის მიერ გაიცა რეკომენდაცია პროექტში დაზუსტებულიყო ხსენებული 500 000 ლარის ფარგლებში მოხდება თუ არა დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის განთავსება და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მემორიალის მოწყობა.

რამდენადაც 12-0319344108-03 წერილით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტიდან ირკვევა, მერიის შესაბამისმა სამსახურებმა მოახდინეს საკითხის შესწავლა და ბიუჯეტში გათვალისწინებულია როგორც მემორიალის, ასევე ბიუსტის განთავსების საკითხი.

მარიკა დარჩიას განმარტებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილი 12-0319344108-03, 10.12.2019) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარის მ/შ

მარიკა დარჩია